KA010116349779019

№10191/06
24 / ივლისი / 2019 წ.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს
უფროსს ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის
უფროსის ირაკლი სისვაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო არჩილ,
როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე undp-ის გრანტის ფარგლებში და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამონაწილეობით.
მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საველე სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, მ/წ 24-28 ივლისს დაგეგმილია სააგენტოს მიერ საველე გადამოწმება, ასევე, იგეგმება ტყეში სამუშაო ვითარებაში, საველე გასვლითი შეხვედრები ტყის ინვენტარიზაციის განმახორციელებელ ჯგუფთან, ტერიტორიულ სატყეო სამსახურსა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელობასთან ერთად, ხოლო სამუშაო დღის დასასრულს დაგეგმილია ვახშამი 30 პერსონაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს საორგანიზაციო საკითხების განხორციელება.

პატივისცემით,

ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი სისვაძე